1874 წელს იონა მეუნარგიას, დავით კვეზელს, სტეფანე ჭრელაშვილს და მათ ამხანაგებს შეემთხვათ ერთი ამბავი, რომელიც უკვე შესულია ქართულ საზოგადოებრიობის ისტორიაში. ეს ყმაწვილები ისხდნენ ერთხელ იმ ბაღში, რომელსაც რუსების დროს ეწოდა ალექსანდრეს ბაღი და რომელშიაც ქვედა ნაწილში ძველად ქართული მართვა-გამგეობის დროს გამართული იყო ყაფახი.

ყმაწვილები ისხდნენ ბაღის ზემო-ნაწილში, სადაც გამართული იყო შემდეგ „ციდების ბაძარი“, ე.ი. ის ადგილი, სადაც გამოვენილი იყო ყველა საბნები, რომელნიც შეეხებოდა რუსთა სამხედრო გამარჯვებას და ბატონობას კავკასიაში. ყმაწვილებს გვერდით ატარა ციდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზისძემ, რომელიც იმ ხანებში კავკასიაში მეფისნაცვლობდა. ყმაწვილები არც ადგნენ და არც ქუდი მოუხადეს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა არც დიდ მთავარსა და არც მის ამალას. ყმაწვილებს გამოჰკითხეს მაშინვე ვინაობა და შემდეგ დასჯილნი იყვნენ - სემინარიიდან გარიცხვით. ასეთსავე სასჯელს ვერ აშორებდა ჩვენი იონაც. ამ გარემოებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ის უნდა გამგზავრებულიყო საზღვარ-გარედ, სახელდობრ შვეიცარიაში, სწავლა-განათლების შესაძენად. იგი სწავლობდა ჟენევაში 1876 წლამდე, რომელსაც გადავიდა ჰარიზში, სადაც დაჰყო ორი წელიწადი.

როგორც შვეიცარიაში, ისე საფრანგეთში იონა მეუნარგიას შეხვდა ბევრი ქართველი ახალგაზრდა, რომელნიც მისავით სამშობლოდან ყამოსული იყვნენ განსავითარებლად. იონა დაუახლოვდა მათ, გზებს დაუმეგობრდა, მაგრამ ის არ კმაყოფილდებოდა მარტო ამ მშობლიური წრით. თვალის გასახელად და გონების სავარჯიშოთ ის შეეცადა გასცნობოდა უცხო ცხოვრებას, განსაკუთრებით წერილობა და ჟურნალისტობა წრეებს. მრავალი ნაცნობი შეიძინა. ის გაბედულად გაეცნო მაშინდელ საფრანგეთის კერძს ცხოვრებას, მგზნებს ვიქტორ ჰიუგოს, რომლის თაყვანისმცემელი იგი მუდამ იყო და ბოლომდე დარჩა. შეუძლებელია ამჟამად ჩამოთვლა ყველა იმ უცხოელ მწერლის და ჟურნალისტისა, რომელთაც იგი გაეცნო და ურთიერთობა დაიკავა. საზღვარგარეთის მოგზაურობა ერონა მეუნარგიასათვის მეტად ნაყოფიერი და სასარგებლო შეიქმნა. ის ასცდა იმ გზას, რომელზედაც შესდგნენ მრავალი

ერავალი ჩვენი ახალგაზრდანი ნუსის ინტელიგენციის წაბაძვით. მთავარი ძიმართულება ამ ინტელიგენციისა, როგორც მოგეხსენებათ, ეგრეთწოდებული ემარცხენეობა. უნდა გეგმით აღვნუ, რომ დაგემსახურებინათ მოწინავე და განათლებული ადამიანის სახელი. ამ ჩვენ დროშიც, როცა ურემი გადაბრუნდა და გზა გამოჩნდა მთელი კაცობრიობისათვის, ახალაც კი ბევრს ვერ დაუძვრენია თავი ამ მოყიდისაგან. სულ ახლახან 1934 წლის დასაწყისში გამოჩენილი რადიკალი საფრანგეთისა ჟორჟ კაიო სწერდა:

„ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში, ალბათ სხვაგანაც, ძლევიანებს ბოროტება, რომელსაც ვიწყებთ ვიცნობთ კეთილის სამანქანეთი სენი; ეს ის, რომელსაც ეწინააღმდეგებით ან ცდილობთ ამ სენისაგან განკურნებას. ბატონებო, ჩვენი მიზეზია ბრალი, რომელთაც ითქმის სულელებიან იქნებ ადვილად გადაგვარებით. ისინი იყვნენ ბავშვიერად ჩაძინებულ მსხვერპლნი, რომელთა ძილის სიკვდილის მეთაურებისნაკადებს. ისინი წერილს ვერ დედებენ თვით ბატონებს, იმიტომ ვერ ეწინააღმდეგებიან ცდილობენ ეშმაკებს."

და თუ ეს ბოროტება ვერ დაუძლევიათ ჩვენს დროში, როცა დავინახეთ თუ რა მოსდევს მანქანიზმს, უკიდურესობას, რა უნდა ვქნათ მაშინ, როცა თითქმის ყოველი კაცი დარწმუნებული იყო, რომ თუ ცხოვრებაში არ მჯდარხარ შენი იდეებისათვის, ან კატორღაში საფანჯერად გადგავნილი, არც განათლებული ხარ და არც ქალიშვილი.

ამიტომ ფრიად საგულისხმოა და განსაკუთრებულად აღსანიშნავი, რომ ღირს აზნაურისშვილის, ისიც სასულიერო ოჯახის ყვავი იონა მეუნარგია აშორდა წმინდის და რწმენის თეორიებს, დაუკვირდა რეალურ ცხოვრებას საგულვარგარეთ, შეითვისა მეთოდები, შეისწავლა ხელოვნების მიზანი, საგანი და განსაზღვრება. ამის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში (1878) და შეუდგა ბეჯით მუშაობას.

საქართველოში იონა მეუნარგიას იმწამსვე მიაქცია ყურადღება და შესთავაზეს მრავალმხრივ ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რაც მან სიამოვნებით იკისრა. ამ „წერა-კითხვის საზოგადოებას“, როგორც მას მოკრძალებით, ჰირადად განათლების სამინისტროს მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისათვის და ცასაკვირველი არ არის, რომ მისმა მრავალმა დიდი როლის თამაში დაიწყო. ის დაუახლოვდა ქართველ მოღვაწეებს, ბევრი მათგანი დაიმეგობრა და გააჩარა საქმიანობა. ამ ჟამად საშუალებას არა ჩვაქვს დაწვრილებით ყველა მაშინდელი მოღვაწეები დავასახელოთ. უპირველეს ყოვლისა ის დაუახლოვდა იერას, აკაკის, დავით ერისთავს და განსაკუთრებით მუდამ მისაგონარ ივანე მაჩაბელს. იონა მეუნარგია გარეგნობით და განათლებით მუდამ იქცეობდა ყურადღებას. ჰირადი კულტურა უმაღლეს წერილამდე ჰქონდა აყვანილი, ბრწყინვალე ხომ ზედმეტია დაკარაკი!

ის ხომ მეგრელი იყო..მისმა ფრანგუდმა გააოცა თბილისელები.ნიკო ნიკოლაძის „ობოლ“-მა სიმბოლოსის ჯილით მას „გაფრანგებული მეგრელი“ უწოდა. ეს გვიანდელი სახელი ასე დასჩემდა ჩვენს იონას. მერე ეს სახელი გადავიდა მეორე მეგრელზე,მწერალ-მოვაჭრე ბიორნზე,რომელსაც იდია ხინთელმა ნიჭიერი ფელეტონიც უძღვნა. მაგრამ ამ ამბავს იდესმე სხვა დროს გავიხსენებთ.იონამ თანამშრომლობა დაიწყო მაშინდელ ერთადერთ ქართულ ირგანო „დროება“-ში,მერე ჟურნალ „ივერია“-ში. შემდეგ,როდესაც „დროება“ აღარ ძალებს,მან განაგრძო მუშაობა იდიას გაგით „ივერია“-ში,აღექსანდრე ჯაბადარის დაარსებულ და ალექსანდრე ჭყონიას რედაქტორობით არსებულ„ მიამბე“-ში. ალარ გვახსოვს თანამშრომლობდა თუ არა იგი ბიორნი ჩერეთლის „კვალში“..მწერია,არა.იონა ვიცრი შეხედულების კაცი არ იყო.მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული,რომ ქართველი ერის ინტერესები მოითხოვს ბევრ საკითხებზე წერას უფრო ენებზედაც,მეტადრე რუსულად,რომ ფართო საზოგადოებას სცოდნოდა ვინ არის, რას წარმოადგენს ქართველი ერი, რა წარსული ჰქონდა,რა აწმყო აქვს და რა მომავალი უნდა ჰქონდეს. ამიტომ მისმა მებობარმა დავით ერისთავმა მიიწვია თავის თანამშრომლად,როცა ოვიციოზ „კავკაზ“-ის რედაქტორობა იკისრა.ასეთივე თანამშრომლობა გაუწია იონამ კონსტანტინე ბებუთაშვილის,რომელიც გაგით „ტფილისკი ვესტნიკის“ რედაქტორი გახდა.მას ეკუთვნის მრავალი წერილები,ქუბლიცისტური,კრიტიკული და სხვა სახის მიმოხილვები.მან დაბეჭდა არქეოლოგიური ალწერა სვანეთისა და აჭარაში მოგზაურობიდან.მაგრამ ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ „ცხოვრების ალწერებს“,რომელნიც უძღვნა ჩვენს მწერლებს: გრიგოლ ორბელიანს,ნიკოლოზ ბარათაშვილს,გიორგი ერისთავს, მამია გურიელს. მასვე ეკუთვნის ცხოვრების ალწერანი ნიკოლოზ გიორგი დადიანისა,რომელსაც სამეგრელოს მსჯუდმდებელს უწოდებენ.გარდა ამისა მან დასწერა ცხოვრებანი დავით ერისთავისა,გიორგი ქიჩაქიძის,ალ.ჭავჭავაძის,იდია ჭავჭავაძისა.როგორც მოწმობს სიდ.ცაიშვილი - იონას შესახებ,-მას აკაკის ცხოვრებაც ალუწერია.

მეტად საინტერესოა იონა მეუნარგიას სამეგრელოს უკანასკნელი დროის ისტორია(სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითისა), მემუარების სახით დაწერილი.ეს შრომები გაწეული იონა მეუნარგიას მიერ ჟირაჟირ ფასდაუდებელია,არმიიჩნიოთ,რომ ეს განძი არ გვქონია,ჩვენი მწერლების შესახებ ზედმიწევნით ცოდნას რომ მივაწევდით?!

მაგრამ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ იონა მეუნარგიას ღვაწლი ერივნული ხელოვნების დარგში.რომელიც დიდი თაყვანისმცემელი შოთა რუსთველის და მისი ქმნილებისა ის ჯერ კიდევ ქარიგში ყოფნის დროს საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ფონდში არსებულ ნანუწა ციციშვილის„ვ.ცყაისნის“ დამჭვრებას გადმოსწერს. კავკასიის მცოდნე ჟან მურიეს და ნიჭიერი

ბარონესა ბ.ფ.სუნერის დახმარებით ის სთარგმნის ფრანგულად „ვეფხის ტყაოსანს“.ამან გაუადვილა გიჩის ვეფხის ტყაოსნის დასურათება.იონა მეუნარგიამ შეჰკრიბა 22 ხელთნაწერი „ვეფხის ტყაოსნისა“.ბიჭის მან დიდი მონაწილეობა მიიღო ქართველიშვილის გამოცემისათვის ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის. ამ საქმეს აჯარმოებდა ცალკე კომისია,,რომელიც დაარსებული იყო 1888წელს. მასში მონაწილეობდნენ:იდია,გრ.ორბელიანი,აკაკი, ვანო მაჩაბელი,დავით ერისთავი და სხ.მთავარი შრომა დააწია ორმეგობარს - იონას და ვანო მაჩაბელს.იონამ ვეფხის ტყაოსნის მოკლე შინაარსი შეადგინა რუსულ ენაზედ.

იონას ჰყავდა საყვარელი ოჯახიც. მისი მეუღლე იყო ბედნიერება ჯაფუ ჯორჯიკიას და.მისი ვაჟი,რომელიც აჯარებდა ქაქა მიხეილის სახელს,უჯარბინებელი ყმაწვილი იყო,მშვენიერი მცირე ქართული ენისა.იგი სიყრმეშივე მიიცვალა.გაუჭირა ერთადერთი იმედი მამას,რომელსაც სურდა მისი დაწყებული შრომა საქართველოსადმი სამსახურისა გაგრძელებულიყო უფრო ძლიერ და უფრო ნაყოფიერად.ეს შემურდა ჩვენთვის განგებას.ერთხანს იონა მიიწვიეს მისი კუთხის დედაქალაქ ფოთის თავად.ამ პერიოდში იყო იგი,მანამ მისმა მეტოქეებმა ქალაქის თავად ნიკო ნიკოლაძე არ დანიშნეს.ნიკო ნიკოლაძე არც ისე უცხო იყო იონასათვის.ისინი მახლობლებიც იყვნენ.ეს არ გამოეპარა აკაკის,რომელმაც ჟურნალ „კვალში“ ირონიას ასეთი ეპიგრამა უძღვნა:

„ხმელეთი რომ ვერ იტევდა
ფოთს ჭაობი იშოვნაო.
ვი-ყი-ყი-ყი დიდი ნიკო!
ვა-ყა-ყა-ყა- იონაო“.

მაშინ კარიკატურისტები არა გვყვანდა და რომ კიდეც ხელში გვქონოდა კარიკატურა,ვერც მიათავსებდით ტექნიკურად,რადგან რიგიანი ცინკოგრაფია არა გვქონდა თბილისში. ჩვენ გვყავდა მხოლოდ ხელოსანი ნიჭიერი გიგო ჯაჭიშვილი,რომელიც ხეზე სჩირდა ნახატებს.თორემ გიორგი ჩერეთელი - ეს დიდი ყაიდის რედაქტორი და ჟურნალისტი სულ იმას გაიძახოდა - ავსუს,რომ ამ ეპიგრაფისათვის ვერ დავხატავთ კარიკატურას: ბაყაყები ნიკო ნიკოლაძისა და იონა მეუნარგიას სახით.

დიახ!იონა მეუნარგია ჩვენი დიდი მოღვაწე იყო.ის აგრივებდა მეგრულ ფიქრებს,რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერივნული ქართული კულტურისათვის. მისი თაოსნობით მეგრელი სტუდენტობა აგრივებდა ამ მეგრულ გეჭირისტყვაობას.ამ დარგში მუშაობდა სტევანე გაგუა.საუბედუროდ, ეს მუშაობა სხვაგვარად მიიღეს მოციენებმა.გააგვიანდეს ეს ამბავი,დასჭამეს ქართველ ერისაგან ჩამოშორების ჯილი ამ საქმის დამტყუებთ.თითქოს მეგრული ტექსტის ქართული ასოებით დაწერა ან დაბეჭდვა დასაგმობი საქმე იყოს!ყველგან გაიგონებით სიტყვას - „მაჭარუ“ (მეგრულად რიჟრაჟს ნიშნავს) და „მაჭარუევები.ამ გარემოებამ გიგიენი

ენაძარცაას ამქმევინა ,რიმ მეგრული სეკარაჭიზმის მიმხრე თვით იონა მეუნარწიაც იყო,მაგრამ ეს ყვერაფერი ნამდვილი ცილისწამება იყო და გაგვიადებული.ეს ნათლად გამოირკვა და ცხადლივ დამტკიცდა იმ საჯარო სამართალში,რომელიც მოხდა ქალაქ ფოთში სტეფანე გაგუას და კირესპონდენტ ჭოჭუას შუა. ამ სამართალში მიწვეული ვიყავი მე,თქვენი უმორჩილესი მონა,რომელიც თავმჯდომარე.იონა მეუნარწია დიდი მოქართულე იყო,რომელსაც სამეგრელოს სხვა სახელოვანი შვილნი:ჭალადიდელი,კოხიდელი,ნიკო წიოწიასძე დადიანი,დიდი ნიკო,მადვა დადიანის მამა,თვით მადვა,ქეცნე დადიანი და სხვები.ლვაწლი იონა მეუნარწიასი ისე დიდი და მნიშვნელოვანი იყო,რომ საჭიროებს ზედმიწევნით კვლევას და ძიებას.ეს უნდა მოხდეს,რასაკვირველია,საქართველოში,სადაც გამოჩნდებიან სწავლულნი,რომელნიც მათს ღვაწლს და ნაშრომს გამოამზეურებენ.ეხლა კი მათს მნიშვნელობას მხოლოდ ვგრძნობთ.ამის ნიშანია,მაგალითად ის,რომ იმავე ცაიშვილის მიწმობით ქალაქ ზუგდიდში დაარსებულ სამხარეთმცოდნეო მუზეუმში მიწყობილი ყოფილა იონა მეუნარწიას კაბინეტი,მწერლის მთელი ბიბლიოთეკით,არქივით,ავეჯით,სურათებით და სხვა. გადარჩენილი ყოფილა აგრეთვე ყოველი მიწერ-მიწერილ.

როგორც მეუნარწიას,ისე სხვა ღირსეულ მამულიშვილებს არმიუჩნევიან მათი ცხოვრების არმწერელნი და მაშინ მათს დიდს ღვაწლს კარგად გავისიგრძეგანებთ!!

გრიგოლ დიასამიძე.

.....
XXXXXXXXXXXXXXXXXX
.....

ჩვენი ქრონიკა

(სიტყვა წარმოთქმული ბატონი დადო არველაძის მიერ კრებიდენტ ნიე ჟორდანიას გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზედ,7 თებერვალს, 1954წელს,ნიუ იორკში.)

ერთი წლის წინად,11 იანვარს უცხო მიწაზედ სული დადია ჩვენი საუკუნის უდიდესმა ქართველმა ნიე ნიკოლოზისძე ჟორდანიამ,რომელიც ქართულ მატიანეში „დიდი ნიეს“ სახელით შევა.

ბედისწერამ,ჩვენ ასე გვარგუნა.ყოველ საუკუნესა და ყოველ ეპოქას უნდა ავეფორიაქებინეთ. უკუღმართ დროს უნდა მოეშალა ჩვენი ცხოვრების ჩარხი და ბევრი ღირსეული შვილი ჩვენი ქვეყნისა უცხო მიწას უნდა შეეჭამა. ამ უბედურებას,ერთხელ დაკანონებულს ჩვენს თავზე,ვერც მეცნე საუკუნეს საქართველო გადაურჩა,მხოლოდ იმ განსხვავებით,რომ,თუ წინად ქართველთა სხეული ათწლის ქვეყნების მიწა ჰოხიერებილა,ეხლა - ევროპისა და ამერიკის მიწაც ჰოხიერებად.

მაგრამ,თუ ბედმა გვარგუნა ეს მწარე ხვედრი,სამაგიეროდ შემოქმედმა მიგვმადლა ისეთი ძლიერი სული,რომ ქართველი ყველგან ქართველად რჩება,უცხო ნებით მებრძოლი თავისი ქვეყნისათვის,უკვეთეს დღეთა მისაკოებლად.

დიახ,ჩვენი მთლიანობის სიმბოლო,საქართველოს ერთნული და პოლიტიკური მეურვე,მისი თავისუფლების ჯაჭვიანქი ერთი წლის წინ მიგვშორდა ხორციელად,ხოლო სულიერად იგი მუდამ ჩვენთან იქნება,სანამ ქართველი ერი იარსებებს.

განახლებული საქართველოს და ნიე ჟორდანიას სახელი ისე გადაეჯაჭვა ერთიმეორეს,რომ მას ვერც დრო და ვერც ჟამი ვერ წანაცადკვეთს,ვერც მსახვრელი ხელი გაყრის. ახალი საქართველო და დიდი ნიე,ორივე ერთად შევიდა საქართველოს ისტორიაში შარავანდედით გაჭრილნებული და ძვირფასი დიადემით თავმორთული.

საქართველოს მეორედ შობა,უკვე,მკვრივით აღდგომა,ამ დიდი ადამიანის ხელში მოხდა,ხოლო თვით წინდა სანთელივით დადნა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების საკურთხევლთან.სრულიად სამართლიანად არნიშნავს მამა რაფიელ ინგილო,-ნიე ჟორდანიას თანამებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეებში და მის შემდეგაც. იგი ამბობს: „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საჭირო გახდა შინაგანი,ასე ვთქვათ სკეპტიციზმის გადალახვა და გარეგან დაბრკოლებათა გამამხნევებელი უშურველად ყოფა,ეს ირიგე დასძლია ნიე ჟორდანიას უსაზღვრო ავტორიტეტმა. ნიე ჟორდანია რომ არ ყოფილიყო, საქართველოს დამოუკიდებლობა შეიძლება ვერც კი გამოცხადებულიყო“.

აი სწორი და მიუდგომელი შეფასება მაშინდელი მდგომარეობისა. მდგომარეობის ერთად ცოდნამ დააჩერია მამა რაფიელ ინგილოს ეს სიტყვები. შეიძლება მართლა არ ყოფილიყო საქართველო დამოუკიდებელი,და ეს იმიტომ კი არა,რომ მის შვილთ დამოუკიდებლობის წყურვილი აკლდეთ. თავისუფლების გრძნობა ქართველ ადამიანს დედის ძუძუსთან ერთად აქვს შეწოვილი, ამ გრძნობამ მიგვიყვანა ჩვენ დღემდე. ძალით გრძნობას ვერავინ დაბადებს.ის ერი,სადაც არ იყო გრძნობა თავისუფლებისა,დიდხანია გაქრა მსოფლიო რუკიდან, რომლის დამოუკიდებელი ეთნიური ერთეული. მაგრამ მარტო გრძნობა რომ კმარა სურვილის მისაწევად.ამ გრძნობას ერისას,კარგი მეთაური ესაჭიროება,რომ კონცენტრაცია უყოს მას,და ერთ ფორმაში მიაქციოს.ასე იყო და ასე იქნება მუდამ.

განა დღეს კი აკლია ქართველ ერს თავისუფლების წყურვილი?მონობის ხანაში მინას აკლდა თავისუფლების გრძნობა?!ბატონყმობის დროს,ყმას აკლდა სურვილი ბატონიდან თავის დახსნისა?! მეთაურის გარეშე,ვერავითარი სურვილი ხალხისა ფრთას ვერ შეისხამს. ეს ინიციატივა იკისრა ნიე ჟორდანიამ და მისმა თანამებრძოლებმა და კიდეც დააგვირგვინეს იგი სასახელოდ.26 მაისს 1918 წელს!საქართველოს დამოუკიდებლობა იქმნა გამოცხადებული! ვთხოვთ ყველას,არავინ გაგვიგოს ისე,რომ თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობა რომელიმე ჯგუფის საკუთრება იყოს. იგი,საკუთრებაა მთელი ქართველი ერისა,ხოლო ნიე ჟორდანია და მისი ჯგუფი ამ საკუთრების მსახური და ამ ისტორიული აქტის არმასრულებელი.

არც იმის თქმა გვინდა,რომ სხვა ჯარტიას და სხვა ჯგუფს,

ერის სამსახურისათვის სურვილი და უნარი აკლდათ. მაგრამ ისინი არ იყვნენ მაშინ იმ რაიონებით წარმოდგენილნი, რომლებშიც, მაგალითად, სოც.-დემოკრატიული ჯარია. სოც.-დემოკრატების ბედადებს დიდი მოცულობით იცნობდნენ უცხოეთშიც. თვით ნიუ ჟურანია, პოლიტიკურ ენიცნეზე იყო, მასა მას ენდობოდა და იმი უყვარდა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ 1918 წელს იქრის ხანა დაიწყო. მაგრამ არა სახელმწიფოებრივი და ეკონომიური, „ჩვენს ხაზინაში ერთი იქრის ათმანეთიანი მოიკოებოდა“-ო, ამბობს ბატონი გ. ჟურული. არა ტერიტორიის სიდიდით, არამედ პოლიტიკურ და სოციალურ მინაარსით!

მარტო ეკონომიური სიმდიდრე, თუ იგი მდიანად ხარხის საკუთრება არ არის, ვერ განსაზღვრავს სახელმწიფოს ხარისხს. სამშობლო მაშინ არის ძვირფასი, რაც მის პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში, ცოტად თუ ბევრად ყველას უდევს წილი. ნიუ ჟურანიას დროის საქართველო იყო ყველასი და თუ ამას მიუმატებთ მკვრივით აღწერას, ვერავინ დაგვძრახავს, მას იქრის ხანა ეწოდით. და რომ დაცდება მას სიცოცხლე, ეხება მართლა იქნებოდა მდიდარი იქრით.

პრეცედენტი, თუ რა მდგომარეობაში მოუხდა ჩვენს მეთაურებს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მას არ ეყოლია. ეთვნა-არეთვნის დიდება ირგა მაშინ ჩვენი ქვეყნის წინაშე. ჩვენი საუკუნოებრივი მტერი, თურქეთი, რომ გვირჩევდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ამ რჩევის უკან დიდი ბრიტანეთაც იყო დამალული, რასაც მალე აეხადა ფარდა. თურქეთს სურდა თავისი საუკუნოებრივი იმნების განხორციელება, ამიერ კავკასიის დაპყრობა, და თუ გავიხსენებთ, რომ მაჰმადის რჯული მხოლოდ სარწმუნოება განსაზღვრავს ჩვენმობას, მის სურვილებს მარტო საქართველო და სომხეთი ეღობებოდა წინ. ასეც მოხდა: თურქეთი ბათუმში კი არ შეჩერდა, არამედ ამიერკავკასიაც დაიკავა და ბევრი ქართველების სიცოცხლეც შეიწირა. ნიუ ჟურანიას ანგიქრებდა მაშინ ის მწარე მაგალითები საქართველომ რომ განიცადა და მთელი ორისი წლის მანძილზე, ჩვენი მეფეები და სახელმწიფო კაცნი რუსის მეფეებს რომ ემუდარებოდნენ და შველას სთხოვდნენ!! ირანის და თურქეთის რჩევით შეწუხებულნი. წარსულის მწარე გამოცდილებიდან, შესაფერი დასკვნის გამოტანა იყო საჭირო, რომ დამოუკიდებელ საქართველოსაც არ დასჭირებოდა ისევ წამოჭენება იმავე რუსეთის კარებთან, რომელმაც მრავალჯერ გვიმუხთლა, მაგრამ თუ ჩვენმა ქვეყანამ ღონემე მოიტანა თავი, შეინარჩუნა ქრისტიანობა, ადათი, ტრადიცია და სამშობლოს დამოუკიდებლობის წყურვილი, ჩვენი მეფეების იმ გადაწყვეტილებით, რომელებმაც შეიტისა და სუნიტის, მოჰამედის ნამგალა მთვარეს, ქრისტეს ჯვარი ამჯობინეს!

დამოუკიდებლობის დღეებში საქართველო საქართველო გავდა მშვიდობიან ცხვარს, ცოტაიან აფთარსა ხრიკა-შემრტყუარს. მანძილის ათწლეულები საჭირო იყო საჭირო, პოლიტიკური

მისმა თანამებრძოლებმა სასახელო დასძლიეს ეს მრავალრიცხოვანი დაბრკოლებები და ჩვენი ქვეყანა გამოიყვანეს ამ დღემდინარეობიდან. ქარიშხალში იშვა ახალი საქართველო. ჩვენს ენას კვლავ დაუბრუნდა წართმეული უფლება, ჩვენს დედაქალაქს თბილისს ათასხუთასი წელი რომ იცავდნენ ჩვენი წინაპრები, - ქართველი დაეპატრონა. ღვაწლი ნიუ ჟურანიას მიერ გაწეული ქართველი ერისადმი, იმდენად დიდია, რომ მისი აწონა და აწყვა არ შეიძლება.

იბადება კითხვა, რამ აიძულა ნიუ ჟურანია თავიდანვე დასდგომოდა ეკლიან გზას, რომ მას შეეძლო მისი ცხოვრება მოემართა ისე, რომ დღენი დაედინა მშვიდობასა და მყუდროებაში? ! რომელ მეცნიერებაშიც არ უნდა ეძებდა მას თავისი ნიჭი და უნარი, იგი იქნებოდა ყველგან პირველი. მაგრამ მან ეს არ ისურვა და მყუდრო ცხოვრება გასცვალა მღელვარეზე, ცხენსა და ცხვირზე! რამ მიიყვანა იგი ამ გადაწყვეტილებამდე თავისი თავის მიმართ? კეთილშობილების იმ გრძნობამ, რომელიც ყველა დიდებულებივან ადამიანებს გულში ულევის. მიყვასის სიყვარულმა, საკაცობრიო იდეალმა. თუ ყრმობის ხანაში აწვალებს ფიქრი შეცნობილსა და შეუცნობელს შორის, ასაკში მესვლის დროს, მის წინ გადაიშალა ფიქრის ახალი ოკეანე. ფიქრი პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ უსამართლობაზე, დაჩაგრულსა და დამჩაგრველზე. თავიდანვე მისი ბუნება დაჩაგრულთა მხარეზე გადაიხარა და კიდეც შეადგა თავისი ღონე დაჩაგრულთა ბედის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. განსვენებულს იმ დროს მუხდა სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა, როცა ევროპის მოწინავე ადამიანები საკაცობრიო იდეალს ქადაგებდნენ. იდეალს ძმობისას და თანასწორობისას. როცა რევოლუციონურად განწყობილი მასსა მმართველობის ძველი წესის დასამხობად ემზადებოდა. ინტელიგენცია და გამოვიძებული მშრომელთა მასები რევოლუციას მოითხოვდნენ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, რევოლუციის ნაცვლად. რევოლუციის ჟუს ნაბიჯით სვლა დიდი ხნითგან უკვე მოწყენილი ჰქონდა ქვეყნიერებას.

როგორც ცნობილია, სოციალური და ეკონომიური თანასწორობის პრობლემა ყველაზე მწვავედ დროის წესრიგში მეცხრამეტე საუკუნემ დააყენა. წარმოების ყველა დარგში ტექნიკის შეჭანამ, ეს მოთხოვნა დააჩქარა. პოლიტიკური თანასწორობის გვერდით, მეორე საკითხი ამოტივტივდა, - სოციალური თანასწორობის საკითხი, და ისე მწვავედაც, რომ, თუ წინ არ უსწრებს პირველს, - უკან არ რჩება! ვინ არ იცის, რომ სოციალურ საკითხს ბევრი ახალი გადაუცვალებია, ბევრი რეჟიმი დაუნგრევია და ბევრი ქვეყანა დაუქცევია. მორს რად მივდივართ, მემარჯვენე რუსეთის დამხობა და მეორე სისხლის დაქცევა სოციალური მოძრაობის ბრალია. ასეთივე ბედი მიელის ბოლშევიკურ რეჟიმსაც, რომელიც მესვეურები ყველის სიმდიდრეს თვით დაეპატრონენ და მოქუეებულ მასებს მძიმე ყოფის სამძიმო ულუფა დაადგეს კისრად!

ერივნული თანასწორობის, და სოციალურ-რევოლუციური ძალების თავმისაყრელად დაარსებული იყო მაშინ ე.წ. მეორე ინტერნაციონალი. თუკი ისეთი დიდი ერის წარმომადგენლებს, როგორიც არის გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და ბელგია, და სხვა, მეორე ინტერნაციონალი მიაჩნდათ ერთა თანასწორობის სიმბოლოდ, როგორ შეიძლებოდა ასე არ წარმათ იგი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებს, მაშინ როცა დღითი დღე უქარდა რუსეთი ერივნული სულის გაქრობას! „რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია" - ასე ერქვა იმ მოძრაობას, რომელშიც ნოე ჟორდანიამ შედგა ფეხი და მალე დაიჭირა იქ ერთი მთავარ-ადგილთაგანი. იგი ამ იდეოლოგიის თეორიკოსიც გახდა მალე. ამ პარტიაში მოქცეული იყო მაშინ რუსეთის იმპერიაში შემავალი ერთა რევოლუციონური ძალები. რევოლუციას უნდა მოეგანა ერთა თავისუფლება. რევოლუციას უნდა მოეგანა ეკონომიური თანასწორობა. ასეთი იყო დაპირება ამ პარტიისა, რომელშიც აქტივისა თუ პასივის სახით, დიდი რაოდენობა იყო მასებისა ჩაბმული. და თუ მას არ მიუღია გამართლება იმ სახით, რა სახესაც ითვალისწინებდა იგი, ამის მთავარი მიზეზი ისევ რუსეთის სახელმწიფოებრივი ცუდი მმართველობა იყო. პოლშევიკურმა დემაგოგიამ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადაგდო მშრომელთა უდრეკაესი ძალიონები. მაგრამ, ჩვენ მაინც დიდად უნდა უმადლოდეთ რევოლუციას, თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა მესამე პერიოდი 26 მაისი! რევოლუციის გარეშე ჩვენი ქვეყანა ვერასდეს

ვერ ეღირსებოდა დამოუკიდებლობას. დიდათ სცდებიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ საკუთარ მეფობის. რუსეთს ყველა ერის, მისი ბრძანებლობის ქვეშ მყოფის, გარუსება ეწადა და ყველა გარდა რუსულისა, „ძალის ენად" იყო გამოცხადებული. ჩვენს ეკლესიაში, რომელიც ექვსასი წლით უფროსია რუსულზე, ქრისტეს წესის რუსულ ენაზედ შეცვლის ბრძანება იყო გაცემული. მეათე ხარისხოვან თხზულებაში, დამოუკიდებლობასთან შედარებით, ჩვენი მოწინავე ადამიანებისას, რომ თბილისში გახსნილი ყოფილიყო უმაღლესი სასწავლებელი და ქართველ ჯარისკაცს სამხედრო მოვალეობა მოეხადა საქართველოს ფარგლებში, -შედეგი არ მოყოლია.

რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტია, ნაზიარები იყო მაშინ მარქსისტული იდეებით, სხვა პოლიტიკური იდეალი, ევროპის ბირჟაზე მაშინ არ ყოფილა. მასში მოღვაწეობდნენ პოლიტიკოსთა ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ კაუცკი, ბებელი, ბერშტაინი, ოტო მუდერი, ვანდერველდე და სხვანი. მათ წრეში მოექცა ნოე ჟორდანიაც და დაიმსახურა ყურადღება და პატივისცემა. ქრისტიანული პარტიის მარქსისტული მოძღვრებისა ამიერკავკასიაში იყო ნოე ჟორდანია, მის ირგვლივ დაირაზმა ახალი თაობა, რომელსაც დიდმა ერივნულმა მოღვაწემ გიორგი წერეთელმა „მესამე დასი" უწოდა. ჩვენ პევრი არ-ვერი გვესმის მარქსიზმისა და არ ვიცით არის თუ არა იგი მისაღები ჩვენი ერისათვის, მაგრამ მმართველობის წესი, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ჟორდანიას მთავრობის

დროს, იგი კი მისაღებისა მთლიანად და უყოყმანოდ. როგორც ვიცით, მარქსიზმი ქადაგებს ერივნებისა და კერძო საკუთრების წამხას, ერთი კლასის ბატონობას მეორის ხარჯზე, რელიგიის უარყოფას და სხ. ნოე ჟორდანიას მთავრობას ამის მაგალითი არ მოუცია! ჩვენი ეკლესია ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ აღსდგა და მას იცავდა ერივნული სახელმწიფო სრული შეგნებით. ბოლშევიზმა არ შეეყვია თავზე არც ერთი კლასის წარმომადგენელს, ხოლო ერის აღიარება უზენაეს მივალეობად, ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამებრძოლებმა დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე ადრე დაამტკიცეს. სახელმწიფო საზღვრებში რომელი ქართველის ხმა გაისმოდა ისე მკვეთრად, თუ არაქართველი სოც.-დემოკრატებისა?! დამოუკიდებელ საქართველოს წამსვე გამოუცხადეს მეზობლებმა: რომ ცნობილია საქართველოს წევა პოლიტიკოსთა დიდი მცოდნე, კარლ კაუცკი, რამდენი მაკრონადი, ემიგრანტველდე. ეს სტუმრობა იყო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი!

ბოლშევიზმის დამხობის შემდეგ არ უნდა წარმოვიდგინოთ ერთი წამითაც კი, რომ მმართველობის ის წესი დაბრუნდება, რომელმაც თავის დროზე ბოლშევიზმი არმოაცენა. მიუხედავად ამისა, ქართველი თავადაზნაურობის აქტი, -თავისი საკუთრება ერს რომ გადასცა, -ოქროს ასოებით ამოიბეჭდება ჩვენს ისტორიაში! ამასწინად ჟურნალ „ბედი ქართლისა" -სამიამოვიკითხე, თუ 26 მაისს ქართულ კაბამი გამოწყობილი ბაგრატიონ მუხრან-ბატონი და ბაგრატიონ დავითიშვილი „ჟორდანიას გაუმარჯოს" რომ იძახდნენ! მსგავს მაგალითს ვერსად ვერ შეხვდებით! ძირველი მახვილი იტალიის ძლიერებას გურგიდან მისმა არისტოკრატიამ ჩასცა, ვერ მოითმინა დიდმცოდნე მჭედლისშვილის ყოფნა სახელმწიფოს სათავეში. რატომ მიხდა ჩვენში საწინააღმდეგო? იმიტომ, რომ ქართველი გლეხი, თავადი თუ აზნაური, მთელი თავით კი არა, მთელი ტანით მაღლა დგას სხვა ერის გლეხთან და თავდაბალ, ერივნული შეგნებით. საქართველოს არასდეს არ ყოფილა „მუჟიკი", ყავდა კეთილშობილი გლეხი, რომელსაც სულმნათმა იდიამ „ერის დედაბოძი" უწოდა. ხოლო ბოლშევიკების მისვლას სათავეში სწორედ „მუჟიკმა" შეუწყო ხელი!

ჩვენმა განსვენებულმა კრებიდენტმა 1943 წ. მოწოდებით რომ მიმართა ემიგრაციას „ერი მურმივია, რეჟიმი წარმავალი, ვისაც გწყევთ წაიღით და განაგრძეთ ბრძოლა არსებულ რეჟიმის წინააღმდეგ". გამოიწვეულნენ ისეთი სულმოკლენი, ამ მოწოდებამაც შეეცვალათ შხამი. მაგრამ, რომელი საუკუნის დიდ ქართველს არ მოხვედრია ჯოხი ჰაწაწუნა კაცუნებისაგან?!

უბედურნი ვართ ჩვენ, ქართველი ემიგრანტები, რომლებმაც სამშობლოს დავკარგეთ და ჩვენი ერივნული მთლიანობის სიმბოლო - დიდი ნოეც! მაგრამ ჩვენ მივყვებით ჩვენი მწერლობისა და ჩვენი ენის უმშვენიერესის გრიგოლ რობაქიძის რჩევას: „ღმერთს სხვემეზე რაიმე რთული საკითხი წამოჭრება, უხილავი იმურევებს განს-

ვენებულს თქვენ შორის და :მაიქნებით, თუ რას იტყოდა იგი შესახებ მისა ". რიცა გაივლის ათი საუკუნე და ქართველი ერთესასწაულებს 26 მაისს ათასი წლის თავს, დაფნის გვირგვინით შეკრება ნიუ ორლეანიას შეხვედება, მის ქალაქს, რომ ერგება წილად. ბედმა მას არგუნა პირველი კრებიდენტის რიცი, მაგრამ იგი იყო არა მარტო პირველი კრებიდენტი, არამედ რიბორც დიდი ქართველი მამულიშვილი, რიბორც მსოფლიო მნიშვნელობის ჰუბლიცისტი და მოაგრონე.

ქართველი ხალხი ჩვენც შემოგვნატრებს მაშინ, რომ მიმსწრენი ვიყავით დიდებული 26 მაისისა და ჩვენი პირველი კრებიდენტისა, რომლის მოღვაწეობის ხანაში მოგვიხდა ცხოვრება და რომლის დიდებული ხსოვნის წინაშე მოწიწებით ვიხრით დღეს თავს!

დალი არველაძე.

.....

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

.....

სომეხთა ეკლესია!

„ ჩვენი გზა“-ს გამსვლას თავის დროზე კარგი გამომახილი აქონდა, რიბორც ქართველთა შორის, ისე არა-ქართველთა შორისაც. განასკუთრებით აღსანიშნავია მომდე სომეხთა გამომახილი. სომხურ-ქართული ურთიერთობისათვის ამ ფაქტს თავისი დიდი მნიშვნელობა აქვს. სომეხთა გაზეთმა ინბრისურ ენაზედ - „ თე ჰაირენიკ უიკლი“-მ, 19 ნოემბრის, 1953 წლის მოწინავე უძღვნა „ჩვენი გზის“ გამოსვლას. მიბვყავს მოკლედ ეს მოწინავე:

„გმირი ქართველი ქალწიულები“:

კომუნისტური ტირანიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში, ყოველი ახალი მოკავშირე, რაც არ უნდა სუსტი იყოს მისი ძალა, არის დიდი დანამატი თავისუფლების ძალთათვის ასე შეიძლება შევაფასოთ და მივესალმოთ ახალ ამერიკულ გამოცემას „ჩვენს გზას“, რომელიც წარმოადგენს შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ანტი-კომუნისტი ქართველი ქალწიულების ირგანოს. „ჩვენი გზა“ წარმოადგენს ქართულ ჟურნალს, რომელის ქართული ნაწილი მოცემულია მიმეოგრაფიულად, ხოლო ინგლისური - სტამბით. ეს არის მიმზიდველი კრებული 50 გვერდიანი, ორი სვეტით თითო ფურცელზედ, კარგ ქაღალდზედ და კარგად ნაბეჭდი. რედაქცია და ფორმა საუკეთესოა. პირველი გამოცემისათვის „ჩვენი გზა“ წარმოადგენს საიმედო დასაწყისს.

რიბორც კრებულის სახელი -„ჩვენი გზა“ ამტკიცებს, ჟურნალში განხილულია შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველების ერთი ნაწილის პოლიტიკა, რომელიც გარკვეით დგანან თავისუფლების მიცვალე ხალხების მხარეზე და შეერთებული შტატების გზაზედ. მიუხედავად თავიანთი სამშობლოს დაკარგებისა ბოლშევიკების მიერ ამ იდეალამეტი წლის წინად, გმირი ქართველი ქალწიულები ცდილობენ ქართული საკითხი გააცნონ თავისუფალ მსოფლიოს. „ჩვენი გზის“ გამომცემელნი გარკვეით დგანან თავისუფლების ძალთა მხარეზედ!

„ჩვენი გზა“ ნამდვილი ანტი-კომუნისტური კრებულია, რომელიც ამავე დროს ქალწიულობასა და დედაკაცობასაც არა მოკლებული. არ შეიძლება, რომ ბურჟუაზიული და მტრულებით არ იქმნას არემოწული, რომ ჩვენი საუკუნის უდიდესი ტირანები - სტალინი და ბერია, იცვნენ ქართველები. რასაკვირველია ეს არ არის ქართველი ერის ბრალი, არამედ ეს იყო მისი უბედურება. სტალინი და ბერია ყოველი ქალწიული ქართველისათვის იყო რენეგატი და ძალმომრეველი. ამიტომ არც კეთილი ქართველი ერის გამტყუნება შეიძლება ამ რენეგატთა ბაში! ქართველი ერის დიდი უმრავლესობა არის დაუძინებელი მტერი საბჭოთა რეჟიმისა, რომელმაც მათი თავისუფლება ფეხქვეშ გათელა და რომლის წინააღმდეგ ქართველი ერი რამდენიმეჯერ აჯანყდა.“ და სხ.

„ჰაირენიკ უიკლი“-ს რედაქცია ბიძის მიესალმება „ჩვენი გზის“ რედაქციას და უსურვებს გამარჯვებას. თავის მხრივ, „ჩვენი გზის“ სახელით ბ.ი.გაჟონიამ და ბ.ლიტვინოვმ სიმეხ მოძმე ხალხს და მათს ირგანოს თვილი მადლობით უჭასუხა, რომელიც ინგლისურად აქვე იბეჭდება.

.....

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

.....

ბერდინის კონფერენციის ინგვრივ.

აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გაერთიანების, აგრეთვე ავსტრიის ოკუპაციის დამთავრების იმედი, რომელიც მთავარ ქრობლემას წარმოადგენდა ბერლინის კონფერენციაზე, - მიღწევის „ნიულ“-მა არარაობად აქცია! ამით, არსებული მსოფლიო უშიშროების უფსკრული კიდევ უფრო გაადიდა და გააღრმავა. რაოქმა უნდა მიღწევი თანხმობას განაცხადებდა, თუ გერმანია და ავსტრია მის საბოლო ვასალებად გადაიქცეოდნენ, მაგრამ გერმანიის და ავსტრიის ხალხი ასე ადვილად არაო ფუვდება! დასავლეთის პრიექტი - თავისუფალი არჩევნების პრინციპებზე გერმანიის გაერთიანება, არაფრად ეჭამნიკა მოღწევს, რადგან ამით მისი ტიკინა აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობა რჩებოდა ხაერში გამოკიდებული, რომელიც ისედაც მასების მხარდაჭერას მოკლებულია! სამაგიეროდ მოღწევმა დასავლეთს შესთავაზა ურთიერთ თავდაუსხმელობის ხაქტი, რომელიც წლის ვადით და თან მოითხოვდა ევროპის კონტინენტიდან ამერიკის ჯარის გაყვანას, ჩრდილოეთ ატლანტიკის თავდაცვითი ორგანიზაციის დაშლას და ევროპიელთა კოლექტიური თავდაცვის პრიექტის თარიღ შემოდებას. ერთი სიტყვით - მოღწევი ხოხობა ყველაფერს და იძლეოდა არაფერს!

აღბად მოღწევს დააკიყდა, რომ მთელმა მსოფლიომ იცის პიტლერ რუსეთთან დადებული თავდაუსხმელობის ხაქტის ხასი. არავის დავიწყნია 1940 წლის ასეთივე ხაქტის დადება ტიტვა-ტიტვიანესტინეთთან, რომელთაც დღეს ბოლშევიკური მინობის უღელი ადევთ!

დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც მსოფლიო ორ ნაწილად არის გაგლეჯილი, სასაცილო

იყო მოლოტოვის ჩინადადება, რომელშიც ის „ევროპიელთა უშიშროების პაქტზე“ (რიბირც მან თვით უწოდა), ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მხოლოდ მეთვალყურედ ჩაეტოვებდა. აქედან კი გამოსჩივის მოლოტოვის სურვილი: „ევროპა ევროპელთათვის“ მაგრამ ბოლშევიკური მონობის ქვეშ!!

ავსტრიის საკითხის ირგვლივ მოლოტოვი თანახმა იყო ავსტრიიდან ჯარი გაეყვანა და საბჭოთა კავშირის მიერ იარტის კონფერენციაზედ დაჭირებული დამოუკიდებლობა ავსტრიისათვის აღედგინა - მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მიზვარებული იქნებოდა გერმანიისა და ტრიესტის საკითხები, რიდესაც ევროპელთა კოდექტიური თავდაცვის გეგმა სისრულეში არ იქნებოდა მოყვანილი და აღმოსავლეთის თავდაცვითი ორგანიზაცია დაიშლებოდა.

ესე იგი ეს ნიშნავდა ავსტრიის განუსაზღვრელი ვადით დაკავებას, ვინაიდან კრემლს ემინია ამ ქვეყნიდან გასვლა თითქოს იმ მიზეზით, რომ ამერიკა აგრესიისათვის ემზადება და ასობით საჭაერო ბაზები აქვს ევროპაში! ნათქვამია: „მიზეზ-მიზეზ დიშს მარილი აკლია“-ო!

არსებობს კიდევ ერთი საბუთი, რომელიც ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი რუსეთის დაჭირებას არავითარი ლირებულება არა აქვს: მოლოტოვს ჰგონია, რომ საქართველოს მაგალითი დავიწყების ბურუსმა მიიცვა და არავის ახსოვს, რომ 1920 წელს, 7 მაისს, ჩვენმა რუსეთმა იურიდიულად იცნო საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა არავის საფრთხეს არ უქმნიდა. მიუხედავად ამისა, რუსეთმა თავისი სიტყვა მალე გასტეხა და ათი თვის შემდეგ საქართველოს თავს დაესხა დიდი ჯარებით, აუტეხა ომი და სამი თვის სისხლიანი ბრძოლების შემდეგ ეს თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა დაიპყრო.

თუ ეს ფაქტი მოლოტოვს მართლა დაავიწყდა, ჩვენ მოვაგონებთ მას და ვეტყვით, რომ ჯალათები დღეს მარტონი ღარ არიან!

მალენკოვ-მოლოტოვის „მშვიდობიანობის“ ჭიკჭიკში ვერსალისა და ბრესტლიტოვსკის კომბინაცია გამოსჩივის და ეს კი დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში ყოვლად მიუღებელია და ამგვარ კომბინაციას თავისუფალი დასავლეთი არ დაეთანხმება!

თუმცა ბერლინის კონფერენცია, ოთხი დიდის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის რომ სჩარმოებდა, უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ მან კიდევ ერთხელ შესძინა გამოცდილება დასავლეთს და თვალი აუხილა მთელს მსოფლიოს. ამ მხრივ კონფერენციას უშედეგოდ არ ჩაუვლია. თუ დასავლეთს კიდევ ქონდა ილუზიები, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა საგარეო და სამინაო პოლიტიკა შეიცვლებოდა, - ბერლინის კონფერენციის შემდეგ ეს იმედი საგარეო სფეროში საკნის ბუშტივით გაქრა! თუ კი კიდევ მოიპოვებიდნენ ცალკეული პირები, რომელთაც იმედი ქონდათ სტალინის სიკვდილის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ყველა მწვავე საკითხების როგორმე მოგვარება, -

ბერლინის კონფერენციაზედ გამართმა დიპლომატიურმა ბრძოლის თეატრმა ჭრიალ საკმაოდ დაუსურათხა მათ და მთელს მსოფლიოსაც ის მწარე რეალიზმი, რომ საბჭოთა რუსეთი და მისი ბოლშევიკური რაობა, მიზანი და ტაქტიკა, იმივე დარჩა, ამკარა შეტევაზედ გადავიდა და მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფის.

მოლოტოვს, რომელსაც მიზნად ქონდა დასახული დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის განხეთქილების ჩამოგდი, - უშედეგოდ დამთავრდა. პირიქით, დაღესის, იდენისა და ბიდოს შეხმატკბილებურმა და ერთსულოვანმა მოქმედებამ აიძულა მოლოტოვი მსოფლიოს წინაშე ნიღაბი ჩამოეხსნა და საბჭოთა რუსეთი ნამდვილი ბრახვები გამოემჟღავნებია. ეს კი კონფერენციის ერთ-ერთ საუკუთესო შედეგად უნდა ჩაითვალოს! აქვე უნდა დავძინოთ და სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ჯერ ბიდომ გადაარჩინა საფრანგეთის პრესტიჟი და დასავლეთის ქვეყნებთან მტკიცე და უყოყმანო კავშირში დარჩა ეს დიდი ქვეყანაც!

ვინაიდან გერმანია-ავსტრიის საკითხი კიდევ ერთხელგანუსაზღვრელი დროით გადაიდო, ხოლო ჩვენი ჩინეთის წარმომადგენლობა კონფერენციის განმავლობაში დიდათ ნერვიულობდა, იდენისა ბიდოს ინიციატივით კონფერენციამ გადასწყვიტა ამა წლის 26 აპრილს ჟენევაში მოეწვიოს მეორე კონფერენცია, რომელზედაც ჩვენი ჩინეთის დელეგაციაც მიიღებს ერთბაშად მონაწილეობას. ამ კონფერენციამ უნდა ათანხილოს კორეის და ინდოჩინეთის საკითხები. ამაზედ შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა დალესმა თანხმობა განაცხადა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მოლოტოვისაგან წინასწარი ჭირობა მიიღო, რომ ჩვენ ჩინეთან ერთი მაგიდის ირგვლივ ჯერ არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩვენი ჩინეთის დიპლომატიურ ცნობას!

ჩვენ გვწამს, რომ დალესის მიერ ვაშინგტონში წარმოთქმული სიტყვები: „ამერიკა კი არ მიდის ჟენევაში იმიტომ, რომ კომუნისტებს ხიბლა შეასხას, არამედ მათ ანგარიში მისთხოვს და მათს ბნელ ბრახვებს ფარდა ახადოს და მთელ მსოფლიოს აცნობოს“ - სრული ჭეშმარიტებაა!

მაგრამ აქვიდი შესაძლებელია, რომ ჟენევის მომავალი კონფერენცია პირველი ნაბიჯი გახდეს დასავლეთის სახელმწიფოების ახალი საგარეო პოლიტიკისა!

ჩვენის აზრით ბერლინის კონფერენციამ, რომელმაც შეა ჟენევის კონფერენცია ჩინეთის მონაწილეობით, - დასაბამი მისცა იმ მაღალთებული ბრძოლების სერიას, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება სხვა კონფერენციებიც. და აი ამ დიპლომატიური ბრძოლის ქარიშხლის ცენტრში შემჯდარი მსოფლიო თუ რა სახეს მიიღებს ქარიშხლის ჩავარდნის შემდეგ, - ამას კი მომავალი გვიჩვენებს!

ისიდორე გაჟონია.

.....

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

დამაკვირდი:

ქასუხად „დედაკაცს“

ჟურნალ„ერის დიდება“-ში მოთავსებულია ქალბარა ჩერიდი„საქასუხიდ“ სათაურით.ავტორი ჩერიდისა მეტად ენაჩყლიანად აგვიჩერს რუსის ბუნებას,მათ გაუტანრიბას და სიმუხთლესმოყავს კიდევ მაგალითი იმ უსამართლობის იკვანდან,რაც რუსებს გაუკეთია ჩვენი ქვეყნისათვის.რიმელ მკითხველს არ აუტკივებს გული ავტორის მაღალფარდოვანი ფრაზები? რუსი რიმ ყველა თანაბარია, ჩითელი თუ თეთრი,ეს ჩვენც ვიცით, და არაფერს კარგს მათგან არ უნდა მოველოდეთ არასდეს.მაგრამ რაცა ვართ სიტყვით,საქმითაც იგივე ვართ?! ვიცნობდი ერთს მოყმეს, თვეების მანძილზედ ყურები გამიჩჩედა რუსების ქაგებით,მზად იყო სიცა გაჩწყა ყველა იმისათვის, ვინც,თუნდაც ერთი სიტყვით,რაიმე კარგის თქმას გაბედავდა რუსეთზე. მერე ერთს რუსის დედაკაცს ჟურები დასტინცდა და მოუსვა,სირცხვილი კი ჩვენ დაგვიტოვა საგიდად! ვიცნობ მეორე მოყმესაც,მას ერთი ახირებული ფრაზა აქვს მუდამ აკვიატებული და სულ ენაზე აკერია: „ქართველად რომ არ დავბადებულიყავი,თავს მოვიკვლიდი“ ჰკუათა მყოფელი ასეთს სისულელეს იტყვის? თუ არ დაბადებულიყო ქართველად, მაშინ საიდან ეცოდინებოდა,რომ ქართველობა ასე კარგია? ის მოყმე ბევრჯერ მინახავს თვალებზე ცრემლმორეული,რუსეთის მეჯის ნიკოლოზ მეორის ბედზედ მტირალი.„დიდი უსამართლობა იყო,დიდი უსამართლობა მეჯის იჯახის ამოჩყვეტა“-ი,იძახდა იგი და მჩუხარებით იბრაგუნებდა ცურზედ მძიმე მუშტს.ნიკოლოზ მეჯის ტრაღედია ქართველ მეჯეთა დასმიც კოცერბს მაგალითს. ბევრჯერ მსმენია იმავე მოყმისაგან:„რუსებისაგან მეტად ვარ დავალებული,ვიდრე ქართველებისაგან“-ი. მაშ რაღა აჩუხებს ამ უბალრუკს?!

ჩვენ ვიცნობთ ჩერიდის ავტორს - „დედაკაცს“ .ვეკითხებით მას,რა ფერისანი იყვნენ ის რუსები,რომელთათვისაც მას ბევრჯერ მიუმართავს ქახმარებისათვის,-სად და რიგის არ არის საჭირო,- ქართველ ადამიანისათვის მეტად დამამცირებელ ფორმებში, და დაუცია ქართული კრესტიჟი, მის მიერ ნაძაგებ ერის თვალში. თან კიდევ ეფიცებოდა მათ: „ერთიანი ვიყავი მეჯის სასახლეში“-ი.ვისი სიტყვა და საქმე ერთი არ არის,მისთვის ბევრად სჯობს ენაზედ კიტრი თითონვე დაიჭის,თორემ ჩვენ სარკეს დავდგამთ,შიგ ჩავახედებთ და ვეტყვით: ცრუ ქალრიონებო,სსსსსს!

დამკვირვებელი.

.....

რედაქციისაგან:

კორექტურული შეცდომები ტექსტში მრავლად ამოიჩნდება,რისთვისაც გთხოვთ ქაღიებას.ბეჭდვის ეს სახე - მიმეოჩრავით,-ართულებს ყოველთვის შეცდომების გასწორებას.

.....

პ/მზ.რედაქტორი გ.კობახიძე.

.....

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

CHRONICLE

The annual meeting of the American Council for Independent Georgia, Inc., took place in New York on Sunday, November 1st, 1953, in Parkside — Hotel. For the next year were reelected the Board of Directors. The members of the Board is as follows: Mr. V. ABASHZIDSE; Mr. L. ARVELADSE; Mr. S. GASHONIA; Mr. G. GOGOBERIDSE; Mr. G. KOBACHIDSE; Mr. V. NANUASHVILI; and Mr. A. SOULHAN (ISHVILI).

At the same meeting was reelected as Editor-in-Chief of the "Our Path" and "Informations Bulletin" Dr. G. A. KOBACHIDSE and as well as Advisory Board: Mr. D. ALAVIDSE; Mr. L. ARVELADSE; Mr. I. J. GOLDMAN; Mr. G. DIASSAMIDSE; Dr. G. KOBACHIDSE and V. NANUASHVILI.